შპს „ლიხაურის საყვავილე მეურნეობა“ მედიასთან ურთიერთობას გაურბის

რა ხდება აქ, ბეტონის ღობის მიღმა?

თემურ მარშანიშვილი

ადრე ლიხაურის საყვავილე მეურნეობის შესახებ საგაზეთო მასალის მომზადებისას პრობლემა არასდროს შეგვქმნია, ახლა რატომღაც ჯერ დაგვთანხმდნენ, მეორე დღეს კი ცივი უარი გვტკიცეს.

27 ივლისს თავდაპირველად დავრეკეთ ფეისბუკში განთავსებულ ნომერზე, რომელიც სავარაუდოდ ეკუთვნის საყვავილე მეურნეობის მფლობელს ბატონ კობა კვაჭანტირაძეს. მოპასუხემ გვითხრა, რომ თვითონ თბილისში იმყოფება და მოგვცა ადგილობრივი ხელმძღვანელების ნომერი 595 00 21 18. სატელეფონო საუბარში შევთანხმდით, რომ მეორე დღის 11 საათზე ჩავწერდით ინტერვიუს. 28 ივლისს, დათქმულ დროზე ნახევარი საათით ადრე, იმავე ტელეფონით შეგვატყობინეს, რომ შპს-ს ხელმძღვანელობას არ სურდა საყვავილე მეურნეობის შესახებ საგაზეთო წერილის მომზადება.

დავრეკეთ ფინანსურ მენეჯერთან დავით ლომჯარიასთან, როგორც ძველ მეგობართან, იქნებ დაგვხმარებოდა, რომ ინტერვიუ არ ჩაშლილიყო. დავითმა კი რაღაცნაირად გაიკვირვა და მწყრალი ტონით გვითხრა: კერძო ორგანიზაციაა და ხომ აქვს უფლება, არ დაგთანხმდეთ?!

კეთილი და პატიოსანი, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები ერთმანეთში ნამდვილად არ გვერევა, ვიცით, რომ კერძო ორგანიზაციების კომერციული საქმიანობა მათი ფინანსური საიდუმლოებაა, რომელშიც ცხვირის ჩაყოფას არ ვაპირებთ, მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს უფლება, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, დავსვათ სხვა სახის კითხვები და მივიღოთ პასუხები, აი, მაგალითად, როგორიცაა ანასეულის წყალსადენი. ანასეულელი მოსახლეობა აცხადებს, რომ მათ მილზე უნებართვოდ და უკანონოდ დაერთებული საყვავილე მეურნეობა, მცენარეთა მოსარწყავად ყოველდღიურად ტონობით წყალს ხარჯავს, მაშინ, როცა ანასეულს წყალი ყოველ მეორე დღეს და ისიც მხოლოდ რამდენიმე საათით მიეწოდება და ლამისაა ხალხი აქ წყურვილით დაიხოცოს.

არც სხვა კითხვების ჩამოყალიბებისას დაგვჭირდება განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება.

რამდენადაც ვიცით, შპს „ლიხაურის საყვავილე მეურნეობა“ არ არის ის სპეციფიკური ორგანიზაცია, რომლის საქმიანობას უნდა ედოს გრიფი „საიდუმლო“. ჩვენი აზრით, რაც აქ, ამ ბეტონის ღობის მიღმა ხდება, საზოგადოებისა და მედიისათვის ტაბუდადებული არ უნდა იყოს.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 26 (10271) 2 ივლისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

სოფელ სილაურში ახალი გზის მშენებლობა დაიწყო

სოფელ სილაურში 2 კმ. და 565 მ. სიგრძის გზის მშენებლობა დაიწყო.

სილაურის ცენტრალური საგზაო მონაკვეთის კაპიტალური რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. პროექტის ღირებულება 843 510 ლარია. ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა კი, 28%-ს შეადგენს. სოფელში რეაბილიტირებული გზა ბოლო 25 წლის მანძილზე არ ყოფილა.

ამ დროისთვის, მოასფალტების სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს სამშენებლო კომპანია „RTD“ ახორციელებს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე არხები და წყალამრიდები. სამშენებლო სამუშაოები ოზურგეთის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ, მერის მოადგილემ, ოსიკო თოთიბაძემ და მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლებმა ადგილზე დაათვალიერეს და პროექტის მიმდინარეობას მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

მერის წარმომადგენელი სილაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგიტა ჯანხოთელი განმარტავს, რომ სოფელში ასეთი მასშტაბური პროექტი ჯერ არ განხორციელებულა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, კონსტანტინე შარაშენიძის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ახალი გზები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთსა და დაბა ნასაკირალში დაიგება.

„მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ ეს ინფორმაცია არ არის საჯარო“

ინტერვიუ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული სამსახურის უფროს ლაშა ავალიანთან

– ბატონო ლაშა, რეგიონის მოსახლეობას აინტერესებს იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც საქონლის სადგომების, ასევე როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა ცხოველების სავალდებულო რეგისტრაციას ეხება...

– მოგეხსენებათ, რომ 2012 წლიდან საქართველოში დავიწყეთ მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია . უშუალოდ პროცესი იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: *პირველი, ეს არის სადგომების, მარტივად რომ ვთქვათ, ფერმების რეგისტრაცია*.

იმისათვის, რომ დაავადებებზე განხორციელდეს სრულყოფილი კონტროლი, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, სად დგას ეს ცხოველები. თუ გარკვეული რისკები იქნება დაავადებებისა, რომ მას ესა თუ ის ვაქცინაცია ექნება ჩასატარებელი, ვიცოდეთ სად არიან ცხოველები.

რას მოიცავს სადგომების რეგისტრაცია? ფიქსირდება სად არის სადგომები, ვინ არის ამ სადგომის მფლობელი, რომ საჭიროების შემთხვევაში დავუკავშირდეთ ამ ადამიანს.

ასევე, უშუალოდ სადგომში არსებული ცხოველების იდენტიფიკაცია. ადრე იყო, ამბობდნენ ხოლმე, „შავი ძროხა“, „ თეთრი ძროხა“.. როდესაც ლაბორატორიაში ნიმუში მიგვქონდა ძალიან ძნელი იყო დაგვედგინა, რომელი ცხოველი იყო ჯანმრთელი, რომელს ჰქონდა დაავადება. მის აღმოსაფხვრელად დავიწყეთ საყურე ნიშნების დამაგრება, რომელზეც არის როგორც ჩვენი, ადამიანების შემთხვევაში პირადი ნომერი, ასევე ინდივიდუალური ნომერი, რომელიც სხვა ცხოველზე არ მეორდება. ამ ნომრის საშუალებით შესაძლებელია მიკვლევა. 2012 წლის შემდეგ იდენტიფიკაცია – რეგისტრაცია დავიწყეთ წვრილფეხა ცხოველზეც. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია უკვე მეორე წელია გვეხმარება, რომ ევროპასთან შესაბამისობაში მყოფი ელექტრონული ბაზა შევქმნათ.

ჩვენ 2014 წლიდან გარკვეული დროებითი ბაზა გვქონდა მარტივი შესაძლებლობებით, ნოემბრის ბოლომდე ბაზის შექმნა დასრულდება და ძალიან ბევრი ფუნქცია დაემატება მას: ცხოველის სტატუსი და ა.შ.

რატომ არის ეს კარგი მოსახლეობისთვის? ვაქცინაციები, რომელიც ჩაუტარდება ცხოველს, თუ ლაბორატორიული კვლევების ყველა მონაცემი გროვდება ბაზაში.

თუ მფლობელს სურვილი ექნება თავის ცხოველზე მიიღოს ინფორმაცია ან მაგალითად გაყიდვის მიზნით ან სხვა მას შეუძლია მიმართოს სააგენტოს, ამოიღოს ყველა მონაცემი. ცხოველები ბოლო 3-5 წლის განმავლობაში რეგულარულად იცრებოდა თურქულზე, აქვს ჩატარებული ბრუცელიოზის გამოკვლევები და ცხოველი არის ჯანმრთელი.

ყველა ეს მონაცემი მის ცხოველს ფასს მატებს იმასთან შედარებით, რომელსაც არ აქვს საყურე ნიშანი და თავისათავად არავინ არ იცის ეს ცხოველი იყო ვაქცინირებული, არის თუ არა დაავადებული და ა.შ.

–ეს ინფორმაცია გასაჯაროვდება, თუ კონფიდენციალობა იქნება დაცული, რადგან არსებობს ფერმერთა შემოსავლის დათვლის რისკი, მათ

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სამხარეო ადმინისტრაციაში საუდის არაბეთის დელეგაციის წევრებთან შეხვედრა გაიმართა

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში საუდის არაბეთის დელეგაციის წევრებთან შეხვედრა გაიმართა.

„შიფთ გლობალ კომპანის“ (**Shift Global company**) თავმჯდომარე მუჰამად არიფი, ამავე კომპანიის წარმომადგენლები ზელიმკჰან დადაევი და ალექსანდერ ბონდარენკო გუბერნატორის მოადგილეებს ქეთევან მოისწრაფეშვილს, გია ებრალიძეს და არჩილ ყაზაიშვილს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ასევე, რეგიონის აგრარული სექტორის პოტენციალზე, ტურიზმზე და მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს

საატესტატო გამოცდები და შედეგები

წლეულს, ოზურგეთში, სკოლა 569 აწ უკვე ყოფილმა მოსწავლემ დაამთავრა. აქედან ატესტატის აღება 451-მა შეძლო. 118-მა საატესტატო გამოცდებზე სხვადასხვა საგანში ბარიერი ვერ გადალახა. შეგახსენებთ რომ 20018 წელს, საატესტატო გამოცდები განსხვავებული ფორმატით ჩატარდა და ქულების -5.5 სისტემა გაუქმდა. მოსწავლეთა შეფასება არ მომხდარა ქულებით.

აღსაღნიშნავი ფაქტია რომ ოზურგეთის 6 სკოლაში არცერთი მოსწავლე არ ჩაჭრილა. ასკანის, ბოხვაურის, ვაკიჯვრის, კვირიკეთის, მაკვენათის და წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლაში ატესტატის აღება ყველა მსურველმა შეძლო.

დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა დაწესდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მუნიციპალიტეტში დასახლებულ ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ იმსჯელა.

საკითხზე, რომლის ინიციატორი ოზურგეთის მერიაა, საკრებულოს კომისიამ დასკვნა შეიმუშავა და მერიას რეკომენდაციით მიმართა ერთ სულ მოსახლეზე მოსაკრებლის ოდენობა ნაცვლად, 0,85 თეთრისა განისაზღვროს 0,40 თეთრი.

ერთ სულ მოსახლეზე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის 0-დან 150 001- მდე ქულით, ნაცვლად 0,50 თეთრისა განისაზღვროს 0,20 თეთრი.

სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად განისაზღვრება 4 სულით.

რაც შეეხება დაწესებულებებისთვის, ორგანზაციებისთვის, იურიდიული პირებისთვის და ინდივიადუალური მეწარმეებისთვის საკრებულოს კომისიის რეკომენდაციით მოსაკრებლის ოდენობა შენარჩუნდება არსებული ტარიფის ფარგლებში.

მსჯელობის შედეგად ბიურომ გადაწყვიტა გაითვალისწინოს საკრებულოს კომისის დასკვნა და საკითხი კომისიის მიერ რეკომენდურებული სახით წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

უფასო სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით და გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 30 ივნისს, გურიის რეგიონში მცხოვრებ ვეტერანებს, მათი ოჯახის წევრებს და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირებს, უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ.

კარდიოლოგიური პროფილის უფასო სამედიცინო გამოკვლევებს აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის მაღალკვალიფიციური ექიმები ჩაატარებენ. (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრაფიული, ლაბორატორიული კვლევები, გულის ექოსკოპია).

ექიმები პაციენტებს ოზურგეთში, შპს „სააქიმო სამედიცინო ცენტრში", (ჩოხატაურის ქუჩა 20) 10:00 საათიდან მიიღებენ.

მორიგი სამედიცინო აქცია „ჭადრების ბაღში“

ქალაქ ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ მორიგი სამედიცინო აქცია ჩაატარა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოზურგეთის განყოფილებამ (ხელმძღვანელი – არჩილ მჟავია, ექიმები – ნონა მახარაძე და თამარ დუმბაძე).

ექიმებმა ჰიპერტონიასა და ცჰეპატიტზე უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს ასობით მოქალაქეს.

ანალოგიური აქცია აქ 17 მაისსაც ჩატარდა.

ოზურგეთელები მადლობას უხდიან დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის.

შენობა, რომელიც ყველა ხელისუფლების დროს უფუნქციოდ დარჩა

ანასეულის ცენტრში მდებარე, კომუნისტური ეპოქის ბოლო წლებში კავშირგაბმულობის სახლად დაწყებული და დღემდე დაუმთავრებელი ამ შენობის პირველი სართული დღეს პირუტყვის სადღეღამისო თავშესაფარია, ხოლო მეორე სართულზე „მყრალა-მყრალად“ წოდებული ხემცენარის რაყაა ამოსული, ეს მაშინ, როცა აქვე, გვერდით დიდი საქმე კეთდება – ანასეულის უნიკალური დენდროლოგიური პარკი დღითიდღე ფორმაში შედის და მშვენიერდება.

დამოუკიდებელი საქართველოს მმართველობის შემდგომ პერიოდებში თითქმის ყველა სამხარეო და ადგილობრივ ხელისუფლებას საგაზეთო პუბლიკაციით თუ ოფიციალური წერილობითი განცხადებით რამდენჯერმე მივმართე ამ ნაგებობაში განთავსებულიყო ქორწინების სახლი. თითქმის ყველამ მოიწონა იდეა, რომელიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მე არ მეკუთვნოდა, მაგრამ შენობა დღემდე უფუნქციოდ დარჩა. მისი ქორწინების სახლად ქცევა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ახსენდებოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიტყვა საქმედ არასოდეს უქცევიათ.

მაინც რატომ ვითხოვდით ამ შენობის ქორწინების სახლად დამთავრებას? უპირველესად, იმიტომ, რომ ოზურგეთს არ გააჩნდა და დღესაც არ გააჩნია ასეთი ფუნქციის მატარებელი დაწესებულება. ახლა ისიც ვთქვათ, რატომ მაინცა და მაინც ანასეულში და არა სადმე, ქალაქის ცენტრში? იყო ასეთი ტრადიცია: ჯვრისწერის დღეს მექორწილე წყვილები ოზურგეთიდან, ლანჩხუთიდან, ჩოხატაურიდან, აჭარიდან, ფოთიდან, თავთავიანთი მაყრიონის თანხლებით, ანასეულში ამოდიოდნენ და სამეცნიერო დაწესებულებებისთვის სამრავალჟამიერო წრის დარტყმით შთამომავლობისათვის განსწავლულობას იბედებდნენ. ეს რიტუალი მეტ-ნაკლებად დღესაც გრძელდება.

იქნებ დღევანდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ იფიქროს და იზრუნოს იმაზე, რაც წინა ხელისუფლებებმა ვერ შეძლეს თუ შეგნებულად არ გააკეთეს. ქორწინების სახლი ჩვენი აზრით, მუნიციპალიტეტში აუცილებლად უნდა არსებობდეს. აღნიშნული შენობა კი, როგორც ადგილმდებარეობით, ისე გაბარიტებით, ამ მიზნით ზედგამოჭრილი ნაგებობაა.

თემურ მარშანიშვილი.

„მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ ეს ინფორმაცია არ არის საჯარო“

ინტერვიუ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინალური სამსახურის უფროს ლაშა ავალიანთან

ეშინიათ ამის გამო სოციალური დახმარებების მოხსნის, ფერმერთა ნაწილი კი ფიქრობს, რომ სახელმწიფო მათ დამატებით გადასახადებს დააკისრებს ..

— თავიდან როცა ეს ყველაფერი დავიწყეთ, ძალიან ბევრი ფერმერი სკეპტიკურად შეხვდა და ფიქრობდა რომ ამას გადასახადები მოყვებოდა, მაგრამ ამ პერიოდში ყველა დარწმუნდა რომ ეს არანაირ გადასახადებთან არ არის დაკავშირებული. მოგეხსენებათ, სურსათის ეროვნული სააგენტო უფასო ვაქცინაციებს აკეთებს სახელმწიფო ბიუჯეტით და ძალიან ძნელი იყი გამოგვეყვანა საჭირო რაოდენობა ამა თუ იმ ვაქცინის, იმიტომ, რომ ცხოველების ზუსტი რაოდენობა არ ვიცოდით. ამიტომ უცხოელმა ექსპერტება გვირჩია, რომ მთავარია დავიწყოთ იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია. კარგი ბაზა გვქონდეს როგორც ფერმერების ასევე ცხოველების. იმიტომ, რომ ჩვენ კი ვავრცელებთ ინფორმაციებს მედიით, მაგრამ როცა თითოეული მათგანის ადგილსამყოფელი გვეცოდინება, უფრო სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდებაც შეგვიძლია.

ბოლო ორი წელია, უკვე ორივე ყურზე ვაკეთებთ იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას. ეს არის ევროკავშირის მოთხოვნა. მხოლოდ ერთ ყურზე რომ დავადოთ ნიშანი, შეიძლება გარკვეული მიზეზების გამო დაკარგოს. არის შემთხვევები, გაივლის ბუჩქებში, ჯაგებში, გამოედება საყურე და შეიძლება მოძვრეს. ამ შემთხვევაში მთელი ინფორმაცია წყალში ჩაიყრება. ხოლო, როცა ორ ყურზე აქვს, ერთიც რომ დაკარგოს, მეორით შესაძლებელი იქნება ინფორმაცია შევინარჩუნოთ. თუ ცხოველი მაინც დაკარგავს, აუცილებლად უნდა მიმართოს მფლობელმა სურსათის ეროვნულ სააგენტოს. მოიხსნება მეორე საყურე ნიშანიც დაემაგრება ახალი და მონაცემები გადავა ბაზაში.

ეს ძალიან კარგი, მნიშვნელოვანი კითხვაა, რომ <u>ფერმერებმა გაათვითცნობირონ, რომ ეს მონაცემი არ არის საჯარო და მისი ამოღება მხოლოდ შსს-ს შეუძლია. ჩვენ ინფორმაციას არ ვაძლევთ არავის, —</u> ვთქვათ ბანკებს. მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი — <u>სურსათის ეროვნული სააგენტო ბაზას აწარმოებს მხოლოდ ვეტერინარული მიზნებისთვის.</u> იქ იწერება ცხოველის მფლობელი და არა ცხოველის მესაკუთრე, იმიტომ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარს არ შეუძლია დაადასტუროს ეს ცხოველი ვის კუთვნილებაშია. ჩვენ როცა მივდივართ, ხანდახან არის შემთხვევა, რომ მწყემსი გვხვდება მხოლოდ. იმ მწყემსზე იწერება ეს ცხოველები, რომ საჭიროების შემთხვევაში მას მივმართო. მესაკუთრის დადგენის სამართლებრივი საფუძელი არ გვაქვს. ვამბობთ რომ ამ პერიოდში, ამ კონკრეტულ მომენტში ცხოველებზე პასუხისმგებელი პირი არის ესა და ეს ადამიანი. ეს, თუ რამე დასჭირდა ამ ცხოველებთან მიმართებაში, მე უნდა მივმართო ამ ადამიანს. შესაბამისად ვერცერთი სხვა სტრუქტურა ამას ვერ გამოიყენებს. არის შემთხვევა, რამდენიმე ადამიანის ცხოველებს მიაბარებენ ერთ ადამიანს. ჩვენ როცა მივდივართ, ცხოველთან ვინც დაგვხვდება, იმ ადამიანს ვწერთ ბაზაში. აქედან გამომდინარე, <u>ადამიანებს არ უნდა შეეშინდეთ, რომ ცხოველი ბაზაში მოხვდა. ეს არანაირად არ ნიშნავს საკუთრების დადასტურებას</u>.არის შემთხვევები, რომ მალავენ, ხუთი ცხოველი ყავთ და სამს გვაჩვენებენ. კიდევ ვიმეორებ, არანაირად ეს არ არის დაკავშირებული სოციალურ დახმარებასთან.

— რა სახის დაავადებებს არეგულირებს დღეს სახელმწიფო და რა რისკები არსებობს გურიის რეგიონში „თურქულის,“ „ჯილეხის,“ „ცოფის“ და სხვა დაავადებების გავრცელებისათვის..

— დაავადებები, რომლებიც არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (მაგ. „თურქული“, „ჯილეხი“, „ ცოფი“ და სხვა), რომლებიც როგორც ცხოველისთვის, ასევე ადამიანისთვისაც მნიშვნელოვანია.

გურიის რეგიონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაავადება „თურქული“, მოსახლეობა უკვე კარგა ხანია ვერ ხედავს ამ დაავადებას. ჩვენი ერთბლივი ძალებით, მოსახლეობასთან თანამშომლობით, შევძელით დაგვემარცხებინა ეს დაავადება რეგიონში. თუმცა პრობლემაა ის, რომ რადგან ფერმერები ვეღარ ხედავენ ამ დაავადებას, ვაქცინაციაზე უარს აცხადებენ. იძახიან: — რაღად უნდა ვაქცინაცია, დაავადება აღარ არის სოფელშიო. მაგრამ ამ დაავადების დიდი აფეთქებები არის ჩვენს მეზობელ თურქეთში, საიდანაც შეიძლება ძალიან ადვილად — ქარის საშუალებითაც კი გადმოდის მოკლე დისტანციაზე. მით უმეტეს გურიის და ახლო რეგიონების საქონელი პირდაპირ საზღვარზე ძოვს. ზოგჯერ ირევიან კიდეც ერთმანეთში. მაგალითად, აჭარის მოსახლეობის საქონელი გურიის მთებში გადადის, რაც ძალიან დიდი რისკის მატარებელია.

ამიტომ, დღეს რომ ვერ ვხედავთ დაავადებას, პრევენციული ვაქცინაცია არ უნდა დავიზაროთ. „ჯილეხი“ აქ ნაკლებად პრობლემურია, რამდენიმე სოფელია, სადაც პროფილაქტიკურად ვატარებთ ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინაციას. პ ირუტყვი ნაკლებია გურიის რეგიონში, აქ დიდი პრობლემები არ არის.

აუცილებლადუნდა გამოვყოთ „ბრუცელოზი“ . ძალიან აქტიურად დავიწყეთ „ბრუცელოზის საპროფილაქტიკო ღონისძიებები. პრობლემა კარგად გააცნობიერა გურიის მოსახლეობამ და მასიურად მოხდა ცხოველების გამოკვლევა. მოიშორეს დაავადებული საქონელი, რომელიც სხვა ცხოველებს და ადამიანებს აავადებდა . უკვე დავიწყეთ „ბრუცელოზის“ საწინააღმდეგო ვაქცინაცია . ეს ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ რამდენიმე წელში მოსახლეობასთან თანამშრომლობით კარგ შედეგებს მივიღებთ.

რაც შეეხება „ცოფს“, 2-3 წლის წინ იყო გარკვეული პრობლემები, მაგრამ ძალიან მასიური ღონისძიებები განახორციელა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ჩაატარა როგორც მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია, ასვე ძაღლების და კატების ვაქცინაცია და ეს პრობლემა გურიაში დღის წესრიგში არ დგას. ყოველთვის ვახორციელებთ უფასო ვაქცინაციებს, ამაში უნდა ჩაერთოს მოსახლეობა, რადგან ეს დაავადებები მოგონილი არაა და ყველა დაავადება არის რისკის მატარებელი უშუალოდ იმ ტერიტორიისთვის, სადაც ჩვენ რეგიონული მიდგომა გვაქვს. ჩვენ ტყუილად არ შევდივართ ვაქცინაციით რომელსაც არ საჭიროებს რეგიონი. ჯერ კიდევ ბევრია გარეული ცხოველები, განსაკუთრებით ტურა ჩაის ტერიტორიებზე, ტყეში. <u>განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში არის რისკი ცოფის დაფიქსირების.</u> .ახლა ხდება შინაური ძაღლებისა და კატების აცრა. გვქონდა შემთხვევები, გვეუბნებოდენ, ჩემს ძაღლს არ უნდა, სახლში მყავს დაბმული და ა.შ. განსაკუთრებული რისკის ქვეს არიან ძაღლები. მოგეხსენებათ, ჩვენთან ძაღლები არ არიან შემოსაზღვრულ ტერიტორიებზე, გადადიან სხა სოფლებში, ხვდებიან გარეულ ცხოველებს. ასე დიდი შანსია „ცოფით“ დაავადდნენ. მიტომ მათი ვაქცინაცია მნიშვნელოვანია.

— როგორია დღეს სასაკლაოებზე სახელმწიფო ვეტერინარიის კონტროლი..

— რამდენიმე წლის წინ სასაკლაოები საერთო არ არსებობდა ქვეყანაში, თუმცა დაიწყო სახელმწიფომ ამ საკითხზე ზრუნვა. დღეს უკვე ასზე მეტი სასაკლაო გვაქვს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც სრულად ფარავს ქვეყანას და მე თუ მკითხავთ, მეტიც არის. რა



არის უშუალოდ სასაკლაო? ეს არ არის უბრალოდ ტერიტორია, სადაც სუფთად მოხდება ცხოველის დაკვლა. ყველაზე მთავარია, რომ სასაკლაოებზე ხორციელდება ვეტერინალური კონტროლი. ნუ თითოეულ ამ სასაკლაოებზე არის სახელმწიფო წარმომადგენელი, რომლის გარეშეც უბრალოდ დაკვლა ვერ მოხდება. ანუ ყველა დაავადებაზე, რომელიც ადამიანისთვის შეიძლება იყოს სახიფათო ხორციელდება კონტროლი. როცა ვეტერინარი ცოცხალ ცხოველსაც დაკვირდა, დაკვლის შემდეგ ორგანოებზე დაკვირვებით გამორიცხა საშიში დაავადებები, (ღორის შემთხვევაში ასევე ჩაატარა მიკროსკოპული დაკვირვება), ჩვენ უკვე დარწმუნებული ვართ, რომ დაავადებული ცხოველი ვერ გავა ბაზარზე.

საწინააღმდეგო მდგომარეობაა გარე ვაჭრობა, რომელიც დღეის რეგულაციით არის აკრძალული. სამწუხაროდ სურსათის ეროვნული სააგენტო ვერ აკონტროლებს გარე ვაჭრობას, მის პასუხისმგებლობას ცილდება. ხორცი, რომელიც გარეთაა ჩამოკიდებული, არააქვს შესაბამისი მოწმობები, რომ სასაკლაოზეა დაკლული, ასეთი ხორცის კონტროლი არ ხორციელდება. შესაბამისად, არის დიდი რისკი, რომ ამ ხორცის მიღებით ადამიანი დაავადდეს. როცა მივდივართ ასეთი მაღალი რისკის შემცველ პროდუქტის შესაძენად, აუცილებლად უნდა დავრწმუნდეთ, რომ არის სასაკლაოზე დაკლული, რაც ნიშნავს, რომ აქვს ე.წ ფორმა №2, ან დოკუმენტი, რომელიც მიყვება ტრანსპორტირების დროს.

ასევე მნიშვნელოვანია, ხორცი იყოს შესაბამის ტემპერატურულ პირობებში, ანუ უნდა იყოს მაცივარში და არა ქუჩაში დადებული. მხოლოდ სასაკლაოზე დაკვლა არაფერს ნიშნავს თუ შემდეგ დაბინძურდა, აქედანაც შეიძლება ბევრი დაავადების გავრცელება მოხდეს.

ესაუბრა **ნუგზარ ასათიანი**

სამუშაო შეხვედრა გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის

ჰოლანდიის მთავრობის დაფინანსებული პროექტის „გურიის რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარება - ინტეგრირებული მიდგომა“ ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

როტერდამის ერასმუსის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ექსპერტთა ჯგუფი, გურიის გუბერნატორს მერაბ ჭანუყვაძეს და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ.

როგორც ერასმუსის უნივერსიტეტი როტერდამში, ურბანული განვითარების ინსტიტუტის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კარლი პენიკმა აღნიშნა, პროექტის მიზანი არის გურიაში ტურიზმის მდგრადი განვითარების თემაზე გუბერნიისა და მუნიციპალიტეტების სპეციალისტების გადამზადება და **თაილორ- ადე თრაინინგ პროგრამმე** - ის კურსის გავლა. ჰოლანდიური გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო ექსპერტებისგან. ჰოლანდიის კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება. ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება, არსებული რეგიონული სტრატეგიის ტურიზმის განვითარების ინსტრუმენტად გარდაქმნა, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტულ მოქმედებებს, პასუხისმგებელ პირებს და საჭირო რესურსებს მოკლევადიანი ინტერვენციისთვის.

—ჩვენთვის ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია, რადგან გურია ტურიზმის თვალსაზრისით ძალიან მიმზიდველია. რეგიონი მდიდარია თავისი ისტორიითა და ტრადიციით, არაერთხელ გამხდარა ინტერესის სფეროც. ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ტურიზმისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებს. ამჟამად მუნიციპალიტეტებისა და სხვადასხვა აქტორების ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ დოკუმენტზე. ეს პროექტი დაეხმარება, ხელს შეუწყობს ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებს, ჰოლანდიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები, შეიმუშავონ ეფექტური სტრატეგია და შემდგომში სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტებისთვის, — აღნიშნა **მერაბ ჭანუყვაძემ.**

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას დაესწრნენ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის თავმჯდომარე მინდია სალუქვაძე და ადმინისტრაციის თანამშრომელი ლიკა ღლონტი.

ალიტუსის დელეგაცია ოზურგეთში

ლიტვის, კერძოდ ალიტუსის მუნიციპალიტეტის დელეგაცია სამ დღიანი ვიზიტით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს სტუმრობდა.

პროექტის „აქტიური ადგილობრივი მოქმედების ჯგუფები - ალიტუსის რაიონის გამოცდილების გადაცემა ოზურგეთისთვის“ ფარგლებში ლიტველი ექსპერტებმა ოზურგეთის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, ტრენინგები გამართეს თემაზე: „ევროინტეგრაციის პროცესების მნიშვნელობა ქვეყნისა და რეგიონის განვითარებისთვის“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოფიციალური ვიზიტით უკვე მეორედ იმყოფებოდა ალიტუსის მუნიციპალიტეტის ვიცე მერი არვიდას ბალჩიუნასი და ლიტველი ექსპერტები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიას, მის მოადგილეს გიორგი ღურჯუმელიძეს და საკრებულოს წევრებს შეხვდნენ.

–„მეორედ ვიმყოფები ოზურგეთში, რაც ძალიან მახარებს. ჩვენი მუნიციპალიტეტები წლებია უკვე რაც თანამშრომლობს. აღნიშნული ვიზიტიც კონკრეტული პროექტის განხორციელებას ემსახურება. კერძოდ, ევროინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობას ქვეყნისა და რეგიონის განვითარებაში“,– განაცხადა ალიტუსის რაიონის ვიცე-მერმა **არვიდას ბალჩიუნასმა.**

–„ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი მეგობარი მუნიციპალიტეტის, ალიტუსის წარმომადგენლების სტუმრობა ოზურგეთში. 2015 წლს პირველად ეწვია ალიტუსის ვიცე-მერი ოზურგეთს, მაშინ საფუძველი ჩაეყარა ურთიერთთანამშრომლობას. ამჯერად, კიდევ ერთ ახალ პროექტს ვახორციელებთ ერთობლივად, ეს არის მართლაც რეგიონის წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის ევროინტეგრაციის ამ მნიშვნელოვან გზაზე." – აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ.**

პროექტს „აქტიური ადგილობრივი მოქმედებების ჯგუფები - ალიტუსის რაიონის გამოცდილების გადაცემა ოზურგეთისათვის", ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, ალიტუსის რაიონის ადმინისტრაცია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთობლივად ახორციელებს. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ტრენინგები გაიმართა.

ნოდარ დუმბაძის სახელობის ფონდში გურიის რეგიონული აქტივობის ჯგუფის (RAGG) პრეზენტაცია ჩატარდა

29 ივნისს, ქ. თბილისში, ნოდარ დუმბაძის სახელობის ფონდში (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობა) ჩატარდა გურიის რეგიონული განვითარების აქტივობის ჯგუფის (**RAGG**) წლიური შემაჯამებელი ანგარიშის და განვითარების ხედვის პრეზენტაცია. აღნიშნული ჯგუფი მოიცავს სხვადასხვა სპეციალობის პროფესიონალთა გაერთიანებას, რომლებიც საკუთარი პერსონალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ზრუნავენ გურიის რეგიონის მდგრადი განვითარებისთვის და სხვადასხვა საინიციატივო აქტივობით ხელს უწყობენ გურიის რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის ზრდას. პრეზენტაციაზე, ასევე, წარმოდგენილი იქნა გურიის რეგიონის ტურისტული პოტენციალის კვლევის ძირითადი მიგნებები, რომელიც **RAGG**-ის ინიციატივით აიჰშტატინგოლშტადტის (გერმანია) კათოლიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი სტუდენტების, პროფესორების და ტურიზმის ექსპერტების მიერ განხორციელდა გურიაში.

კნუტ გერბერი, RAGG-ის თანადამფუძნებელი, ბიზნეს კონსულტანტი, საქართველოს მოქალაქე: –*„გურიის რეგიონული განვითარების ჩემეული გაგება, პირველ რიგში, გულისხმობს, გურულების სიძის როლის შესრულებას. მე ჯერ კიდევ 20 წლის წინ დავინახე, რომ გურია, თავისი ავთენტური სტუმართმოყვარეობით მთელი გულით მიესალმება სტუმრებს და ღიაა უცხო ერის ადამიანებისადმი. როგორც ტურიზმის პროფესიონალი, მე შემიძლია დავეყრდნო მხოლოდ ჩემს პირად ემოციებს და გითხრათ, რომ გურიის უნიკალური შეთავაზება (□□□) არის ზუსტად ის, რასაც ტურისტები მოელიან: ადამიანების მიერ შექმნილი გულწრფელი სტუმართმოყვარეობა, ავთენტური ბუნება და მდიდარი მემკვიდრეობა. კვლევის მიგნებებიც სწორედ ამას ასახავს: გურიამ უნდა მოახდინოს მდგრადი განვითარება, შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა და დარწმუნდეს მის რეგიონულ ეკონომიკურ პოტენციალში. **RAGG**-ი სწორედ ამ მიმართულებით აქტიურობს, განახორციელა პირველადი ინიციატივები ტურიზმის წახალისებისთვის, ადგილობრივ საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით. შემიძლია გითხრათ, რომ ამ ყველაფერს უკვე აქვს ხელშესახები შედეგი.“*

გაგა გოგიჩაიშვილი, RAGG-ის თანა-დამფუძნებელი:

–*„გურია არ არის ცნობილი, როგორც მდიდარი მხარე. ტურიზმის პოტენციალის განხორციელებული კვლევა კი გვიჩვენებს, რომ ის, ასევე, არ არის საკმარისად განვითარებული ყველა მიმართულებით. გურია, ამ ეტაპზე, არ იყენებს მის ბუნებრივ პოტენციალს. თუ ჩვენ გვინდა რეგიონის მდგრადი განვითარება, რომელიც გულისხმობს გურიის ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას მომავალი თაობებისთვის, რომელიც ჩვენ გვჯერა, რომ არის ღირსეული ამოცანა, მაშინ ჩვენ გურიის საზოგადოებასთან, ადმინისტრაციასთან და გურულ ბიზნესებთან ერთად, ყველა მხარის აქტიური ჩართულობით და დიდი*

*პასუხიმგებლობით უნდა მოვეკიდოთ აღნიშნულ ამოცანას. ჩვენ, **RAGG**-ის გუნდის თითოეულ წევრს და მის მრავალრიცხოვან მხარდამჭერებს, გვჯერა, რომ ეს არის ჩვენი პერსონალური პასუხისმგებლობა, ჩვენი გზავნილი საქართველოში და საზღვარგარეთ მყოფი გურულებისთვის, რომ შემოგვიერთდნენ, აიღონ პასუხისმგებლობა, რომ ერთად შევძლოთ იმ ტრადიციების და მემკვიდრეობის შენარჩუნება, რომელიც განსაკუთრებულს ხდის გურიას და ჩვენს სამშობლოს - საქართველოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დროა ვიმოქმედოთ და ხელი შევუწყოთ ცვლილებების პროცესს“.*

პრეზენტაციის ფარგლებში ინიციატივის მხარდამჭერები ისაუბრეს მსგავსი ტიპის სამოქალაქო გაერთიანებების მნიშვნელოვნებაზე რეგიონული განვითარების კუთხით, გურიის განვითარების არსებულ ეტაპზე, მის წინაშე არსებულ გამოწვევებზე და შესაძლებლობებზე და, ასევე, იმ მიზეზებზე თუ რატომ უჭერენ მხარს და არიან აღნიშნული გაერთიანების წევრები.

საკონტაქტო ინფორმაცია:
https://www.facebook.com/agileguria/
გაგა გოგიჩაიშვილი: 558 42 42 42

მესამედ ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თაამდებობაზე ოზურგეთელი **ვახუშტი მენაბდე** მესამედ აირჩია.

„მინდა მადლიერება გამოვხატო,რადგან მესამედ მხვდა ეს პატივი, რაც იმას ნიშნავს, რომ მაქვს შანსი, განვაგრძო აკადემიური საქმიანობა, კვლევა და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან ხალხთან – სტუდენტებთან მუშაობა“, – წერს ფეისბუკის საკუთარ გვერდზე ვახუშტი მენაბდე.

<u>რეპლიკა</u>

აინშტაინი, დიდი ალბათობით, ოზურგეთში უნდა იყოს დაკრძალული

ამ წერილის მომზადებამდე 20-ზე მეტ ოზურგეთელს ვკითხე, როდის დაიბადა, როდის გარდაიცვალა და სად არის დაკრძალული ალბერტ აინშტაინი.

პასუხების შესამოწმებლად ვიკიბედიაში შევედი, რადგან, გამოკითხულთა უმეტესობის მსგავსად, არც მე მქონდა ზუსტი პასუხი.

როგორ ცდებიან ვიკიბედია და ის სამი ოზურგეთელი, რომლებმაც აიჩემეს, რომ ალბათობის თეორიის ავტორი დაიბადა 1879 წლის 14 მარტს, გერმანიის ქალაქ ულმიში; გარდაიცვალა 1955 წლის 18 აპრილს; დაკრძალულია აშშ-ში, პრისტონში.

ჯერ გეგონოთ და მერე გიკვირდეთ კიდეც!

ოზურგეთში თაყაიშვილის ქუჩას ბათუმის მიმართულებით რომ გაუყვებით,, ქვაზე ხატვის ერთ-ერთი სახელოსნოს წინ გრანიტსა თუ მარმარილოში ამეტყველებულ აინშტაინის პორტრეტს წააწყდებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენში მიცვალებულის საფლავზე ქვას ორმოცამდე დგამენ, მაშინ გამოდის, რომ მეოცე საუკუნის ეს ბუმბერაზი მეცნიერი დიდი ალბათობით ოზურგეთში უნდა იყოს ახალ დაკრძალული და ორმოცს მალე გადაუხდიან.

თემურ მარშანიშვილი

„იმედი“ ფასადს იმშვენებს

ალიონი. ოზურგეთში ცივილიზებული ვაჭრობის ერთ-ერთი მსხვილი ობიექტის - სააქციო საზოგადოება „იმედის“ შენობაზე ხარაჩოები შევნიშნეთ. „იმედის“ თავკაცის ოლეგ გობრონიძის თქმით, სააქციო საზოგადოებამ გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით გაუკეთოს თავისი შენობის წინა ფასადს რეკონსტრუქცია:

„ჩვენი შენობა, რომელიც ქალაქის გულისგულში მდებარეობს, მოგეხსენებათ, არქიტექტურულად და სიდიდით გამორჩეული ნაგებობაა, რომლის ექსტერიერი ხანგრძლივი დროს განმავლობაში არ შეკეთებულა და ლოგიკურია, რომ მთლად სახარბიელოდ არ გამოიყურებოდა. ამიტომ, გადავწყვიტეთ, საკუთარის სახსრებით, ჩაგვეტარებინა წინა ფასადის რეკონსტრუქცია. ასე რომ, ორთვიანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ოზურგეთელები ვიზუალურად ბოლომდე განახლებულ „იმედს“ იხილავენ“ - გვითხრა **ოლეგ გობრონიძემ.**

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

კაკი (ეკატერინე) ნაკაშიძე


კაკი ნაკაშიძე

კაკი (ეკატერინე) მელქისედექის ასული ნაკაშიძე დაიბადა 1886 წელს სოფელ მაკვანეთში, თავადის ოჯახში,სადაც თორმეტი და-ძმა იზრდებოდა.დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ მაკვანეთში.სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.შემდეგ სწავლა განაგრძო ჟენევის სამედიცინო ინსტიტუტში. სწავლის პერიოდში დახმარებას უწევდა ძმა კოტე ნაკაშიძე და მეცენატი სოლომონ ჭეიშვილი, რომელიც სწავლის ფულს უფინანსებდა .

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კაკი თავის მეუღლესთან ვალერიან ჩეხოვთან ერთად დაბრუდა მშობლიურ გურიაში და დასახლდა ოზურგეთში ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქუჩაზე (ყოფილი ძერჟინსკის).სახლი თურქების შემოსევას დროს 1918წ დაწვას გადარჩენია, მაგრამ საცხოვრებლად მათი წასვლის შემდეგ გადმოსულან. მანამდე ცხოვრობდნენ სოფ.მაკვანეთში. მეუღლე ვალერიან ჩეხოვი გაუცნია შვეიცარიაში. ვალერიანიც სწავლობდა ჟენევაში იგი პროფესიით მშენებელ - ინჟინერი იყო და თავისი საქმე კარგად იცოდა. მის სახელს უკავშირდება ოზურგეთში ზვანის ჩაის ფაბრიკის მშენებლობა ,ანასეულის კვლევითი სამეცნიერო ინსიტუტის, ოზურგეთის რკინიგზის სადგურის და სოფელ ოზურგეთში რკინისგზის ხიდის მშენებლობა.კაკის და ვალერიანს ჰყოლიათ ერთი ქალიშვილი მედეა (ცუცა) პედიატრი, გათხოვილი იყო ჯუმბერ როინიშვილზე მახარაძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ყოფილი უფროსი. შემდეგ საცხოვრებლად გადავიდნენ თბილისში. კაკის და ვალერიანის რიკულებიანი ხის ძველებური ყაიდის სახლი, რომელიც აშენებული იყო ვალერიანის პროექტით. ახლაც დგას და ამშვენებს ჩვენს ქალაქს. (სახლი, როგორც კულტურული ძეგლი აყვანილია აღრიცხვაზე).აღნიშნული სახლი 1968 წელს იყიდა ბატონმა ლადო ხავთასმა, როგორც ბატონმა ლადომ მითხრა ერთი ოთახი მთლიანად ნახაზებით იყო სავსეო, შემდეგ სიცილით დაამატა, სახლის ყიდვა გამიჭირდაო, რადგან პატრონმა მითხრა გლეხს სახლი როგორ მივყიდოო.

იმ დროს, როდესაც კაკი ნაკაშიძე გურიაში დაბრუნდა სამედიცინო პერსონალის სიმცირე იყო, ამის გამო მას უხდებოდა სხვადასხვა დარგში მუშაობდა: თერაპიაში, პედიატრიაში, გინეკოლოგიაში, დერმატოლოგიაში და ა.შ.1940 წელს მუშაობა დაიწყო ქ.მახარაძის (ოზურგეთის) აბრეშუმის ფაბრიკასთან არსებულ ბაღში პედიატრად,სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გადაიცვალა 1958 წელს დასაფლავებულია ქ. ოზურგეთში მოიდანახის სასაფლაოზე.

საინტერესოა კაკი ნაკაშიძის ემიგრანტი ძმის გიორგის მოგონება, რომელიც ჩაწერილია 1990 წელს ნიუ-იორკში ანზორ ერქომაიშვილის მიერ.მოგონებებს ჰქვია ,,უკანასკნელი ინტერვიუ" ამ მოგონებებიდან ერთი ეკუთვნის კაკის:—,,ერთხელ მე და ჩემი დები:კაკიე და კაკალა დეიდაჩემის სახლში ოზურგეთში ვიჯექით აივანზე და ჩაის მივირთმევდით. ამ დროს გაისმა თოფის ხმა, კიდევ უფრო უთაქა და უთაქა ხელთოფა ვიღაცამ, მაგი კოწია ერქომაიშვილის ბიჭი დათიკო იქნებაო—თქვა ჩემმა დამ კაკალამ. სროლის ხმაზე უცბად ეტლით მოვიდა პრისტავი გრიგოლაშვილი და მისმა სტრაჟნიკებმა ქუჩა გადაკეტეს.კაკია ახალჩამოსული გახლდათ ჟენევიდან და მთელი გურია მასზე ლაპარაკობდა მაშინ პრისტავი კაკიას პირადად არ იცნობდა.

—თქვით ვინ ისროლა და პატიოსან სიტყვას გაძლევთ ხელს არ ვახლებო, —გამოაცხადა პრისტავმა. ამ დროს დათიკო ერქომაიშვილის დედა-კესარია მოვიდა ჩვენთან და ჩუმად გვითხრა:სასიკტილე დათიკელამ ისროლა და როგორ უთხრა პრისტავსო.

—კაცმა პატიოსანი სიტყვა მოგვცა, ხელს არ ვახლებო, მომიყვანე ბავშვი და მე ვეტყვი, ამხელა კაცი სიტყვას ხომ არ გადავაო — უთხრა კაკიამ კესარიას. კაკია სიმართლის მოციქული იყო, მასთან ტყუილს ვერ იტყოდი.ამიტომ სხვისი სიტყვის სჯეროდა. მოჰკიდა ხელი ბავშვს და წარუდგინა პრისტავს და მოუბოდიშა ამ ბავშვმა ისროლაო. პრისტავი ჩამოვიდა ფაიტონიდან და იმისთანა შემოკრა დათიკოს, რომ ბავშვი მიწაზე გაიშხლართა. დარტყმა მასე არ უნდაო, კაკიამ გაუქანა ამ ჩვენს პრისტავს და იმისთანა სთხლიშა სახეში, რომ პრისტავი წაბარბაცდა.ხომ გახსოვთ კაკია რა ჯანიანი იყო



.ხოდა ატყდა ამბავი სტრაჟნიკებმა ხმლები იშიშვლეს და კაკიასკენ გაექანენ.მაგრამ ხალხი ჩადგა შუაში და პრისტავს უთხრეს თუ ვინ იყო კაკიე.პრისტავმა თავი გააქნია და კაკის მიმართა რუსულად ჩვენ მოგვაქვს თარგმანი: ,,უკაცრავად თავადის ასულო, მე არ ვიცოდი, რომ ეს თქვენ ხართ, გამარჯობათ და ხელი გაუწოდა, მაგრამ კაკია ულმობელი იყო— თქვენაირ არამზადას ხელს არ ვუწვდი უთხრა და ზურგი შეაქცია. რას იზამდა პრისტავი, მობრუნდა და წავიდა. შერჩა კაკიას პრისტავის გალახვა კაკალივით.“(ანზორ ერქომაიშვილი,,უკანასკნელი ინტერვიუ" გვ.202-203).ასეთი გახლავთ ერთი თავადის ქალის ცხოვრების მოკლე ისტორია.

მანანა ლომაძე

ოზურგეთია სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

თორნიკე ხვედელიძის V მემორიალური საჭადრაკო ტურნირი დასრულდა

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ცნობილი მოჭადრაკის, თორნიკე ხვედელიძის სახელობის V მემორიალური ტურნირი ჭადრაკში, რომელიც 2013 წლიდან ყოველწლიურად ტარდება. გასულ წლებში იგი ძირითადად მისი თაობის მოჭადრაკეთა მონაწილეობით იმართებოდა, ხოლო ამჯერად მასში რეგიონის სხვადასხვა ასაკის 24 მოჭადრაკე იყო ჩართული. ღონისძიების გახსნაზე და დახურვაზე განსაკუთრებულად აღინიშნა თორნიკე ხვედელიძის, როგორც მოჭადრაკის, ისე პიროვნების შესახებ. რომ იგი იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი 16 წლის ასაკიდან, რომელიც მინიჭა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ადგილის მოპოვებით და მიღწეული წარმატებებით . იყო გურიის რეგიონის პირველი ოზურგეთელი ჩემპიონი, სამჯერ ფლობდა რაიონული ჩემპიონის ტიტულს. სასკოლო ასაკში იყო საქართველოს ჩემპიონი და ორჯერ პრიზიორი. 2005 წლიდან ეწეოდა ბიზნეს საქმიანობას. დაიღუპა 29 წლის ასაკში ავტოავარიის შედეგად. საზოგადოების მოთხოვნით და ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით 2014 წელს ქ.ოზურგეთის ერთ ერთ ქუჩას მიენიჭა თორნიკე ხვედელიძის სახელი.

რაც შეეხება საკუთრივ ღონისძიებას, იგი როგორც სპორტული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით მართლაც საინტერესო გამოდგა. ახალგაზრდა პერსექტულმა მოჭადრაკეებმა გამოცდილ, ტიტულოვან მოჭადრაკეებთან პაექრობაში დიდი გამოცდილება შეიძინეს, რაც უდავოდ გამოადგებათ დაგეგმილ რესპუბლიკურ და საერთაშორისო დონის შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობისათვის. შეჯიბრების რეგლამენტი და სისტემაც (შვეიცარული) შესაბამისად შეირჩა.

პირველი სამი ადგილისათვის ბრძოლა ოზურგეთელ მოჭადრაკეებს ძირითადად ლანჩხუთელებთან მოუწია,რომლბიც შეჯიბრებაში 9 მონაწილით იყო წარმოდგენილი (მ.შ ორი გურიის ექს ჩემპიონი). საბოლოოდ პირველი ადგილი ერთპიროვნულად მოიპოვა ოზურგეთელმა **გივი სიამაშვილმა,** რომელმაც 7 შესაძლებლობიდან 6,5 ქულა აიღო. მოხდა ისე, რომ მომდევნო ადგილების გარკვევისათვის კომპიუტერული ტექნიკის გამოყება გახდა საჭირო, რადგან ხუთ მოჭადრაკეს ერთნაირი ქულები დაუგროვდათ. დამატებითი კრიტერიუმების გამოყენებით, მეორე ადგილი ერგო ასევე ოზურგეთელ **თორნიკე მახარაძეს,** მესამე **ტარილ ხუხუნაიშვილს,** მეოთხე — **მიხეილ აფხაზავ**ას (მოსწავლე) და მეხუთე— **ნუგზარ გვარჯალაძეს** (ყველა ლანჩხუთი).

როგორც შეჯიბრების ორგანიზატორმა ზურაბ ანდღულაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება იყო ერთგვარი ტესტიც გურიის მოსწავლეთა ნაკრების შედგენის წინ, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ბათუმში დაგეგმილ საქართველოს რეგიონებს შორის პირველობაზე. დიდებს შორის კი მსგავსი შეჯიბრება, რომელიც ოქტომბერში თბილისში გაიმართება.

შეჯიბრების დახურვაში და დაჯილდოებაში, რომელიც ფართო საზოგადოებრივი წარმომადგენლობით ჩატარდა, მონაწილება მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კოტე შარაშენიძემ, თორნიკეს მეგობარმა, სამრევლო სკოლის დირექტორმა მამა ვასილმა (გოგოტიშვილი), თორნიკეს მამამ ელგუჯა ხვედელიძემ.

წარმატებულ მოჭადრაკეებს გადაეცათ სპეციალური დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. ღონისძიება ორგანიზებული იყო ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებისა და საჭადრაკო კლუბი ,,გურიას" მიერ.

როგორ „გამოიჭირეს“ მერიელებმა ზურაბ ციცქილაძე

26 ივნისს, როცა რედაქტორმა მთხოვა, სოფელ მერიის საჯარო სკოლაში წავსულიყავი, სადაც თანამედროვეობის სასცენო და კინოხელოვნების ერთ-ერთ გამორჩეულ შემოქმედს, რუსთაველის თეატრის მსახიობს ზურაბ ციცქილაძეს შეხვედრას უწყობდნენ, მართალი გითხრათ, გაოცებული დავრჩი, რადგან ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელძღვანელისგან, ბატონი ვასო ჩიგოგიძისგან ვიცოდი, რომ ბატონი ზურაბი აქტიურად არის ჩართული ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალის წინასამზადისში. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ბატონი ზურაბს ამ ფესტივალზე ნოდარ დუმბაძის როლში ვიხილავთ.

მაინც როგორ მოახერხეს და სად „გამოიჭირეს“ მერიელებმა ზურაბ ციცქილაძე?

ღონისძიების ორგანიზატორისა და წამყვანის ციური ბაბილოძის თქმით, მერიის სკოლის მასწავლებელ მზია ქარჩავასა და ბატონ ზურაბს ერთად უმგზავრიათ ბათუმიდან ოზურგეთამდე და საუბრისას მსახიობს თვითონ გამოუთქვამს სურვილი შეხვედროდა მერიელ ბავშვებს.

მერიის საჯარო სკოლაში (დირექტორი ავთანდილ კეჭაყმაძე) მოქმედ „სადარბაზოს“ მსგავსი შეხვედრების მოწყობის დიდი გამოცდილება გააჩნია, მაგრამ ასეთი მაღალი რანგის ხელოვანს, ალბათ, პირველად მასპინძლობდა, ამიტომ, ლოგიკურია ის მღელვარება, რომელიც ექსპრომტად მომზადებულ ღონისძიებას თან გასდევდა, მაგრამ ნამდვილად არ აუგებდა.

ღვაწლმოსილი პედაგოგის ციური ბაბილოძის ღონისძიებები ყოველთვის მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ამჯერადაც ასე იყო, მეტიც, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. სოფლის ბიბლიოთეკის გამგის მზევინარ მჟავიას, საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებლის ნანა ქუტიძისა და პედაგოგისა და კალმოსნის ვასო კეჭაყმაძის გვერდში დგომით „სადარბაზოს“ უხუცესმა წევრმა დამსწრე საზოგადოებას ლაღი, დინამიკური, სასურველი სტუმარი მსახიობისადმი პატივისცემითა და სიყვარულით გაჯერებული ღონისძიება აჩუქა.

მოსწავლეების ლიზა ფასიეშვილის და თამთა თავბერიძის მიერ უნაკლოდ შესრულებულ სიმღერას და გულში ჩამწვდომად წაკითხულ ლექსს, სახელდახელოდ შექმნილი ტრიოს (მანანა ბაქანიძე, მზევინარ მჟავია, ნანა ქუტიძე) მშვენიერი მუსიკალური ნომერი მოჰყვა დები იშხნელების რეპერტუარიდან, მერე ნია დანელიამ ისეთი „ალილუია“ იმღერა, ფეხზე წამოდგა დარბაზი. ზურაბ გორგილაძის ლექსით მხატვრული კითხვის საკმაოდ მაღალი კლასი აჩვენა მე-12 კლასელმა ლერი გოგატაძემ, „აჭარულის“ რიტმს შესაბამისი როკვა შეაგებეს პირმშვენიერმა გოგონებმა - ნინო სომელიამ, ნია დანელიამ და ნუცა სურგულაძემ. სიმღერით „ჰერიო, ბიჭებო“ შეეხმიანა საზოგადოებას მუსიკის მასწავლებელი ნანა ქუტიძე.

ზურაბ ციცქილაძემ მადლობა გადაუხადა მერიის საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის, მოიწონა მოსწავლეთა სასცენო ხელოვნება, რომელიც, მისი თქმით, კიდევ უფრო ამაღლდება თუ აქ სასკოლო თეატრალურ წრეს ჩამოაყალიბებენ და მოსწავლეთა დაოსტატების მიზნით ოზურგეთის თეატრის მსახიობებს მოიწვევენ. მანვე პროფესიულ დონეზე წაიკითხა რამდენიმე ფრაგმენტი „ვეფხისტყაოსნიდან“.

სკოლის დირექტორის ავთანდილ კეჭაყმაძის საპასუხო სიტყვიდან გამომდინარე, მერიის სკოლაში თეატრალური წრის შექმნას და ამოქმედებას მალე უნდა ველოდოთ.

თემურ მარშანიშვილი



სკანვორდი



№ 25-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - მელიტონ ბალანჩივაძე; ინგა მოფერებით - ინგული; სითხის საზომი - კოჭობა; პირველი პირის ნაცვალსახელი - მე; საბერძნეთის დედაქალაქი - ათენი; ზურგზე მოსაკიდი ჭურჭელი - გოდორი; მე-9 ასო - ი; საყლაპავი მილი - ზონდი; სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში - შამგონა; თეატრალური ტერმინი - აპოთეოზი; ციხე-სიმაგრე ახალქალაქის რაიონში - აბული; საშობაო სიმღერა - ჭონა; ძველებური ჭურჭელი - დერგი; ... - პიკასო; გარეული ფრინველი - გნოლი; ძიუდოს ხალიჩა - ტატამი; კიდობნის ამგები - ნოე; რუსეთის სამთავრობო რეზიდენცია - კრემლი; „მიმინოს“ პერსონაჟი - ვალიკო; ცაცია - ჩალიკვა; ჩეხი მწერალი - არბესი; უბანი თბილისში - ვერა; ძროხის ძუძუ - ცური; სოფელი ქართლში - ატენი; ... - კინი; არსაკიძის შედევრი - სვეტიცხოველი; ლიტერატურული პრემია - საბა; გაზაფხულის ყვავილი - ია; თურქული მარგარინი - ონა; დიახ - კი; ღია აივანი - ბანი; ვაჟიშვილი - ძე; დაავადება-სენი; ფრინველი - ქათამი; შინამოსამსახურე - ფარეში; რუსი კომპოზიტორი - რახმანინოვი; ფანდი - ოინი.

ქალაქი ოზურგეთი
სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-25

რუბრიკას უძღვება **მანანა მემარნიშვილი**
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



1804 წლიდან მოკიდებული ასკანის ციხისთავად აზნაური სვიმონ თაყაიშვილი იხსენიება. ასკანის ციხის ბედი გაიზიარა ლანჩხუთის ციხემაც. ლანჩხუთის მოურავობა თუ ციხისთავობა ქაიხოსრომ თავის სიძეს ალექსანდრე მაჭუტაძეს უწყალობა.

გვიანფეოდალურ ხანაში ქალაქი და მისი ზემოხსენებული მოხელენი მთავრის დანიშნულ პირს – სამთავროს შემოსავალ-გასავალთა უპირველეს გამგებელს – სახლთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. სახლთუხუცესის სახელი ოზურგეთში დიდ თავადთა საგვარეულოს კუთვნილება იყო.

XVI საუკუნეში გურიელის სამთავრო კარზე სახლთუხუცესის თანამდებობა რამაზ მაჭუტაძემ იპყრო ხელთ. ამიერიდან მოკიდებული სამთავროს არსებობის თითქმის მთელს მანძილზე, გარდა მცირედი დროჟამის გამოკლებისა ამ უმნიშვნელოვანეს სახელს – სამთავროს კარზე უპირველის თანამდებობას მაჭუტაძენი ფლობდნენ.

სახლთუხუცესობასთან ერთად, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან მოკიდებული ამ გვარის წარმომადგენლებს ჰქონდათ ლანჩხუთის მოურავის სახელიც.

მაღალი თანამდებობებით აღჭურვილი მაჭუტაძეები გურიის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად აქტიურ როლს ასახიერებდნენ.

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მოკიდებული მაჭუტაძეებმა აქტიური მონაწილეობა იწყეს ოზურგეთის სამთავროს სახლის შიგნით ხელისუფლების გამო ატეხილ ბრძოლასა და ხმალთა კვეთებაში.

მაჭუტაძეები – ოზურგეთის სახლთუხუცესები ამ ბრძოლაში ქაიხოსრო პირველის მეტოქე დემეტრე გურიელს ედგნენ ფარად და მახვილად. დემეტრე გურიელთან და მის მფარველთან, იმერთა მეფე ალექსანდრესთან შეთანხმებით თავადმა მაჭუტაძემ, რომლის სახელი ჯერეთ უცნობია და რომელიც სახლთუხუცესის სახელს ფლობდა, მოკლა გურიის მთავარი ქაიხოსრო და ხელი შეუწყო დემეტრეს გაგურიელებას 1660-1664 წ-ში.

მაჭუტაძეებს მალე ეზღოთ ორგულობისათვის. 1664-1684 წლებში გურიელის ტახტი ქაიხოსროს მემკვიდრე გიორგი მესამე გურიელმა დაიმკვიდრა. გიორგი მესამემ მკაცრად მოჰკითხა ბოროტგანზრახი ქაიხოსროს მკვლელობა განდიდებულ მაჭუტაძეს. წარსტაცა მას სახლთუხუცესობა და იგი ოთარ ბერიძეს მიუბოძა.

ცბიერებით, მოჩვენებითი ერთგულებით, ცრუ ფიცით, ქრთამითა თუ გამოძალებით მაჭუტაძეებმა შეძლეს დიდმნიშვნელოვანი დანაკარგის სახთუხუცესის სახელის უკუგება. გიორგი მესამემ შეუნდო დანაშაული ქვეგამხედვარეთ. მან სახთუხუცესობა ჯერ რამაზ მეორე მაჭუტაძეს, ხოლო შემდგომ იოვანე I მაჭუტაძეს უწყალობა.

XVII ს-ის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მამია მესამე გურიელის ზეობის ხანაში სახლთუხუცესის თანამდებობა კვლავ იოვანე მაჭუტაძეს „ხელთაა“, ხოლო XVIII ს-ის პირველ ნახევარში – გიორგი IV გურიელის ზეობაში სახლთუხუცესად ალექსანდრე II მაჭუტაძე იხსენიება.

XVIII ს-ის 50-70-იან წლებში გურიელთა სახლობა კვლავ შემოსწყრა ურთირთს ოზურგეთის სამთავრო ტახტის წარსატაცებლად. მამია IV გურიელს მოქიშპედ მისივე უმცროსი ძმა გიორგი მეხუთე გაუხდა. აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარშიაც მაჭუტაძეთა საგვარეულოს თავკაცი იოანე მეორე მაჭუტაძეა. მას, ისე როგორც მის წინამორბედ მაჭუდაძეების მკვიდრთ უპყრია სახლთუხუცესის თანამდებობა. იგი მამია IV გურიელის მხარეზე მებრძოლი თავადია.

1771 წელს იოანე მაჭუტაძემ, „ფიცით აღთქმა“ მისცა იმერთა მეორე აღმშენებელს სოლომონ პირველს, მამია IV გურიელსა და გურიის გავლენიან ფეოდალებს, რომ იგი სისხლს დაღვრიდა მამია IV-ის გულისათვის.

ამავე 1771 წელს შემწეობითა „სოლომონ მეფისაითა“ მამია IV კვლავ გაგურიელდა. მამიას მიერ გურიელის ტახტის ხელმეორედ დაუფლებაში სოლომონ პირველთან ერთად იოანე მაჭუტაძემ ითამაშა გადამწყვეტი როლი. იოანე ამ ერთგულების წყალობით კვლავ ქალაქ ოზურგეთისა და გურიის სამთავროს სახლთუხუცესია.

გამოხდა მცირეოდენი ხანი. 1776 წელს ოზურგეთს გურიელის ტახტს კვლავ გიორგი V-ე დაეპატრონა. იოანე მაჭუტაძის სახლთუხუცესობის აღსასრულის ჟამიც მოვიდა. გიორგი მეხუთემ იაონე მაჭუტაძეს „თვალნი აღმოხადა“ და სამკვიდრო მამულიც „წარუღო“

იოანე მაჭუტაძის მემკვიდრეებმა, გამუდმებული ჭიდილის, ბრძოლის თუ გურიელებთან დაყვავებისა და თანადგომის შედეგად მხოლოდ XVIII ს-ის მიწურულს შესძლეს ჩამორთმეულ ყმა-მამულისა და კუთვნილი ქონების დაბრუნება.

თვალდაშრეტილი ყოფილი სახლთუხუცესის იოანე მაჭუტაძის მემკვიფრეებიდან აღსანიშნავია: ალექსანდრე მესამე მაჭუტაძე და მისი ძმა დავით მაჭუატაძე. „მათ მალე დაიმსახურეს მთავრის ნდობა.

(გაგრძელება იქნება)

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

ავთანდილ მახარაძის გახსენება



24 ივნისს ორმოცი დღე გავიდა ჩვენი საუკეთესო მეგობრის, მოკლე ნარდში საქართველოს ჩემპიონის ავთანდილ მახარაძის გარდაცვალებიდან, პიროვნებისა, რომელიც არა მხოლოდ ამ სამაგიდო სპორტული თამაშის, არამედ კაცობის დიდოსტატიც იყო.

შეუპოვრობა, სიმტკიცე, გამარჯვებისადმი სწრაფვა, მაღალი მოქალაქეობრივი და სათამაშო ინტელექტი, კოლეგიალობა, მეტოქის ობიექტური შეფასება და ღირსეულად დაფასება, - ეს ის თვისებებია, რომელიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში გასდევდა და ამშვენებდა, რომლითაც მან, გურული მონარდეებიდან ჯერჯერობით ერთადერთმა, შეძლო გამხდარიყო საქართველოს ჩემპიონი სამაგიდო სპორტის ისეთ დინამიკურ სახეობაში, როგორიც გახლავთ მოკლე ნარდი.

ჩვენს მეგობარს წუთისოფელმა თავისი სიმწარე ყველაზე მეტად მაშინ აგრძნობინა, როცა ქალიშვილი გამოაცალა ხელიდან, მაგრამ, როგორც ღირსეულ პიროვნებას ეკადრება, უბედურების გამო არ დაცემულა და უნარიანად უძღვებოდა თავის კოლორიტულ ოჯახს. სამი შვილიშვილიდან ერთი სწორედ ავთანდილის სახელსა და გვარს ატარებს. დარწმუნებული ვართ პატარა ავთანდილ მახარაძე, დიდის მსგავსად, განაგრძობს მოღვაწეობას და ბოლომდე იტყვის როგორც საკუთარ, ისე სახელოვანი ბაბუას სათქმელს.

მარადიული იქნება ავთანდილ მახარაძის ხსოვნა, მის სახელსა და ღვაწლს დავიწყება არ უწერია.

გურიის ნარდის ფედერაცია.

კაცი, რომელიც დააკლდა ყველას



ომარ კეკელიძე – ბევრის მთქმელია ეს სახელი და გვარი ახლობლებისათვის, მეგობრებისათვის, ოზურგეთისათვის და იმ პატარა ქუჩისათვის, რომელსაც კარგად ატყვია შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი, მოსიყვარულე კაცის ხელი.

გასვენების დღემ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რაოდენ მნიშვნელოვანია სააქაო სახელი. სწორედ ეს სახელი გაცოცხლებს დიდხანს სიყვარულით, მადლიერებით მოსილს. სიკეთით სავსე გულს დაატარებდი, ეხმარებოდი ყველას, რითაც შეგეძლო, შრომობდი მთასა და ბარში. საკუთარი ხელებით აშენებდი სახლს, ეზოს, ღობეს... გიყვარდა ეგ საქმე და გამოგდიოდა კიდეც.

უთქვამთ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ვერაფერი შეცვლის იმ ტკივილს,რომელსაც შენი არყოფნა ჰქვია.

გვიყვარხარ და გვენატრები!

უფალს ებარებოდე, ჩვენო მოსიყვარულე მამავ, მამამთილო, ბაბუავ და მეუღლევ.

შენი **ოჯახი.**

გაზეთი „ალიონი“ თანაუგრძნობს გომის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს მელანო თოიძეს და ნოდარ (ელდარ) გვარჯალაძეს შვილის **გაბრიელ გვარჯალაძის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

განცხადებები

იყიდება სასწრაფოდ, ძალიან იაფად საცხოვრებელი სახლი და წისქვილკომბინატი თავთავიანთი მიწის ნაკვეთებით ოზურგეთის რაიონის სოფ. შემოქმედში.
551 54 84 00 568 01 07 47. ლევანი.

***

იყიდება 30 კუბური მეტრი დახერხილი კედრის მასალა.
ტელ. 599 58 75 32; 599 61 11 60.

***

იყიდება 9 400 კვ. მ მიწის ნაკვეთი ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.
ტელ. 599 58 75 32; 599 61 11 60.

„ჩვენთან ერთად“

ალიონი. სოფელ მთისპირში კლუბის შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა, სახელწოდებით „ჩვენთან ერთად“. ღონისძიება ა.(ა).ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების ინიციატივით და სოფელ მთისპირის კლუბის ხელმძღვანელის - მაყვალა გაგუას ორგანიზებით ჩატარდა.

სოფელ მთისპირის კლუბის სამხატვრო ხელმძღვანელი - იზა გოგუაძე.

ღონისძიების ორგანიზებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის სოფელ მთისპირში მერის წარმომადგენელს - მაია ჩავლეშვილს.

ღონისძიებას ესწრებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - კონსტანტინე შარაშენიძე, ა.(ა).ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი - თამარ ნადირიძე.

„არტგენის“ ფესტივალი ლანჩხუთში გაიმართა

ალიონი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ არჩეულში, ეენატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „არტგენი“, საიუბილეო მე-15 წელი.

ფესტივალის მიზანია ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ფასეულობების პოპულარიზაცია ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

„არტგენზე" მიწვეულები იყვნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები „იადონი“ და „ვახტანგური“.

ლანჩხუთში „არტგენი" პირველად გაიმართა. მაყურებლის წინაშე რეგიონული ანსამბლები წარსდგნენ.

დასკვნითი კონცერტი ჯგუფმა „ფრანმა” გამართა.

როცა დუმილს ოქროს კი არა, ჩალის ფასიც არ აქვს

ალიონი. ოზურგეთელმა საზოგადოებამ იცის, რომ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ნებისმიერ ღონისძიებაზე სრული ანშლაგია. მაყურებელი აქაური თეატრალების არც „დუმილის გაკვეთილს“, აკლდა, რომლის პრემიერა 28 ივლისს შედგა. წარმოდგენამ დამსწრე საზოგადოებას რეალურად აჩვენა, რომ სკოლებში მასწავლებელთა მხრიდან მოსწალეებზე ძალადობა არც თუ იშვიათია და სამწუხაროდ, ეს თემა კვლავ აქტუალურია. ვერაფერი ნუგეშია ის, რომ ყველაფრის ერთ ტაფაში ჩაყრა არ შეიძლება, ანუ ეს ყველა სკოლას არ ეხება. შესაბამისი კვლევების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლებიდან რეალურად აღებულმა და ერთ სპექტაკლში ჩასმულმა ისტორიებმა ცხადყვეს, რომ მდგომარეობა საგანგაშოა.

„დუმილის გაკვეთილმა“ გვიჩვენა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დუმილს ოქროს კი არა, ჩალის ფასიც არ აქვს.

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მარინა თოფურიამ განაცხადა, დაგეგმილი აქვთ ამ სპექტაკლის მუნიციპალიტეტის სკოლებში გატანა და ჩვენება

ოზურგეთელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა წარმატებული გამოსვლა ჩოხატაურში

22-23 ივნისს ჩოხატაურში ჩატარდა ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2006-2008 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ნაკრები გუნდიდან მონაწილეობდა სპორტკლუბი „ზვანი“.

ჩემპიონები გახდნენ:

20 კგ წონით კატეგორიაში - **თომა ზაქარიაძე;**

23 კგ წონით კატეგორიაში - **ნიკოლოზ კუტუბიძე;**

29 კგ წონით კატეგორიაში - **ლუკა კილაძე;**

32კგ წონით კატეგორიაში – **ლუკა ფიფია;**

52 კგ წონით კატეგორიაში – **დათა ურუშაძე;**

60 კგ წონით კატეგორიაში – **ვალერიან სანიკიძე.**

მწვრთნელი – კახაბერ აბაშიძე.

ზაურ თუთაშვილის ხსოვნის ტურნირი ტაეკვანდოში

ერთი წლის წინ ავტოავარიისას გურიის ტაეკვანდოს ორგანიზაციის წევრი ზაურ თუთაშვილი დაიღუპა. იგი არაერთ ტურნირში გამოსულა წარმატებით (ინსტრუქტორი გიორგი ბერიძე). ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის დარბაზში ახლახან მისი სახელობის ტურნირი ჩატარდა.

ტურნირში მონაწილეობდნენ: მცხეთის ტაეკვანდოს, ქობულეთის კიოკუშინსკის კარატეს, ურეკისა და ოზურგეთის ტაეკვანდოს სკოლები (ინსტრუქტორები გიორგი მაისურაძე, თენგიზ დავითაძე, გიორგი ბერიძე, ირაკლი ტუღუში).

ტურნირში 50 -მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირი ჩატარდა 16 წლამდე და 16 წელს ზემოთ სპორტსმენებს შორის. გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

5 წლის ასაკის სპორტსმენთა შორის (15-20 კგ.) ურეკის სკოლის აღსაზრდელმა **ია მჟავიამ** გაიმარჯვა;

6-7 წლის სპორტსმენთა შორის (20-25 კგ.) **ცოტნე სირაძემ** და **ზურაბ აბრამოვმა** (ოზურგეთის და მცხეთის სკოლები);

7-8 წლის სპორტსმენთა შორის (25-30 კგ.) ლუკა მაისურაძემ (მცხეთის სკოლა);

9-10 წლის სპორტსმენთა შორის (25-30კგ.) **ანტონ დიასამიძემ** (ქობულეთის სკოლა);

10-11 წლის სპორტსმენთა შორის (40-45 კგ.) **რაულ ახშანოვმა** (მცხეთის სკოლა);

11-12 წლის სპორტსმენთა შორის (35-40 კგ.) **დავით ბაშარულმა** და **გიორგი ოსკანიანმა** (მცხეთის, ქობულეთის სკოლები);

12-13 წლის სპორტსმენთა შორის (35-40 კგ.) **გრიგოლ ბერიძემ** (ქობულეთის სკოლა);

14-15 წლის სპორტსმენთა შორის (50-55 კგ.) **ანრი ნოღაიდელმა** (ქობულეთის სკოლა);

15-16 წლის სპორტსმენთა შორის (55-60 კგ.) **მარინე ინწკირველმა** (ოზურგეთის სკოლა);

15-16 წლის სპორტსმენთა შორის (60-65 კგ.) **გიორგი ლიპარტელიანმა** (მცხეთის სკოლა);

18-19 წლის სპორტსმენთა შორის **(55-60 კგ.)** ჯაბა ონიანმა (ოზურგეთის სკოლა).

ტურნირი საინტერესო გამოდგა, რომელსაც ესწრებოდნენ სპეციალისტები და გარდაცვლილის ოჯახის წევრები. მათ წუთიერი დუმილით პატივის სცეს გარდაცვლილი სპორტსმენის ხსოვნას.

ტურნირში გამარჯვებულები მედლებითა და სპეციალური პრიზებით დაჯილდოეს.

ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის სასახლის დირექტორმა **გელა შაფაქიძემ** ზაურ თუთაშვილის ოჯახს ტურნირის სამახსოვრო თასი გადასცა.

ირაკლი ტუღუში.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ქ. ხელვაჩაურში ცატარდა მსოფლიო სტუდენტური თამაშების ჩემპიონის გენადი ჩხაიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2005-2007 წლებში დაბადებულთა შორის.

ტურნირში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი გაერთიანების ნაკრები გუნდი მონაწილეობდა და წარმატებითაც იასპარეზა.

48 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი **ავთო მამალაძე** გახდა.

ფინალურ ორთაბრძოლაში დამარცხდნენ და მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდნენ: 41 კგ. წონით კატეგორიაში **გიორგი ტაკიძემ** ხოლო 57 კგ-ში **საბა სირაძე** (მწვთნელი ბექა ჩოფლიანი);

57 და 65 კგ. წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ: **ნოდარ ზედგენიძე** და **სოსო მიმინოშვილი** (მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი).

7 დღის ამინდის პროგნოზი

2 ივლისი ორშაბათი	3 ივლისი სამშაბათი	4 ივლისი ოთხშაბათი	5 ივლისი ხუთშაბათი	6 ივლისი-პარასკევი	7 ივლისი შაბათი	8 ივლისი კვირა
მზე ღრუბელი +20+25	მზე ღრუბელი +19+24	მცირე წვიმა +18+23	მზე ღრუბელი +18+23	მცირე წვიმა +14+18	მცირე წვიმა +15+20	მზე, ღრუბელი +16+21